განკარგულება:**g-87.87241224**
თარიღი:**01/05/2024**

განკარგულება №25

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ შახვეტილაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 3601.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.13.32.149) ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, **სოფელ შახვეტილაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 3601.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ - 50.13.32.149)** ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის პირობები:

   ა) წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით -175.00 (ას სამოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით;

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 20 (ოცი) წლით.

2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქუჩა №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი